

დამტკიცებულია: -----

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავალის დირექტორის

2016 წლის -----

----- ბრძანებით

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავალი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

თბილისი 2016

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა

1. კოლეჯის მისიის და მიზნების რეალიზაციის, პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად კოლეჯი ახორციელებს საქმიანობის სისტემატურ შეფასებას.
2. კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:
 - ა) პროგრამის მიმდინარეობისას;
 - ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ.
4. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა (შემდეგში-მასწავლებელთა) გამოკითხვით/ინტერვიუებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ სასწავლო კურსისა და მასწავლებლის შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირება ან/და მასწავლებელთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა.
6. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო პროცესის, პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების (ფინანსების), ადამიანური რესურსების, სამსახურების ფუნქციონირების, ხარისხის სისტემატური შეფასების გზით.
7. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს შემდეგი კითხვარები:
 - ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი (დანართი #1);
 - ბ) პროფესიული სტუდენტის ანკეტა-კითხვარი (დანართი #2);